

*ვირთაგვას თავის ტვინიდან გამოყოფილი პროლიფერაციის შემაკავებელი
თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის თავისებურებები*

ირინა მოდებაძე¹, დიანა ძიძიგური¹, ეკატერინე ბაკურაძე¹, გიორგი მოსიძე¹, მანანა ბერულავა^{1,2}
ელ-ფოსტა: irina.modebadze@tsu.ge

¹*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, მორფოლოგიის კათედრა,*

²*საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: პროლიფერაციის შეფერხება, ვირთაგვას თავის ტვინის თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსი, ქსოვილსპეციფიკურობა.

უჯრედების პროლიფერაციის კონტროლი ხდება ე.წ. რეგულატორული ცილოვანი ქსელის მეშვეობით. ამ რთული და მრავალსუბერთეულიანი კომპლექსების იდენტიფიკაცია დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. საინტერესოა მათი კვლევა და თერაპიული მიზნით ჰგამოყენება. მოცემული სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ზრდასრული თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის (თცკ) იდენტიფიკაცია და თავისებურებების შესწავლა.

მასალა და მეთოდები: კვლევის ობიექტები: ზრდასრული და მზარდი თეთრი არახაზოვანი ვირთაგვები, ზრდასრული მტრედი და თავგები. მასალა: თავის ტვინის, ღვიძლის და თირკმლის ქსოვილები. მეთოდები: ცილების სპირტული ექსტრაქცია თცკ-ს მისაღებად, მასალის ფიქსაცია მიტოზური ინდექსის განსაზღვრისათვის და იმუნოჰისტოქიმიისათვის, ბირთვების ტრანსკრიპციული აქტიურობის შეფასება.

შედეგები: თცკ ტრანსკრიპციის ინჰიბირების გზით აქვეითებს უჯრედების პროლიფერაციის ინტენსივობას. ამ კომპლექსს არ ახასიათებს სახეობა სპეციფიკურობას, მაგრამ ავლენს ქსოვილსპეციფიკურობას. მზარდი ვირთაგვების დაკბილულ ფასციისაში, თავის ტვინის თცკ აქვეითებს GAD65/67-დადებით უჯრედების რაოდენობას და პროგენიტორული უჯრედების პროლიფერაციულ აქტივობას რასაც თან სდევს უჯრედულ ციკლში მყოფი ურედების რაოდენობის მატება.

დასკვნა: თცკ მიერ ტრანსკრიპციის ინჰიბირების გზით უჯრედების პროლიფერაციის შეფერხება შექცევადია. მისი დამთრგუნველი მოქმედება ხელს უწყობს უჯრედულ ციკლში მყოფი უჯრედების რაოდენობის მატებას მზარდ ვირთაგვებში.